აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 111

30 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებაში დამატებების შეტანის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნების საარჩევნო პერიოდში (უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ცნობამდე) უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და კომისიის წევრების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №5 დანართისა.“

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3[1]. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნების საარჩევნო პერიოდში (2008 წლის 2 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) დამხმარე მოსამსახურეების, ტექნიკური პერსონალისა და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №6 დანართისა.“

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი:

„5[1]. ამ განკარგულების მე-2[1] პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებში №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობამდე.“

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6[1] პუნქტი:

„6[1]. ამ განკარგულების მე-3[1] პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 2 დეკემბრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია